ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

47 (9937) • 12 dekemberi • 2011 w.

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

ა ლ ი ო ნ ი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

ყაჩაღობამ ჩოხატაურიდან ოზურგეთში გადმოინაცვლა

გაზეთი „ალიონი“

9 დეკემბერს, გურიაში მორიგი ყაჩაღობის ფაქტი სოფ. გომში დაფიქსირდა. ბოროტმოქმედებმა შაქრო აბაშმაძის ოჯახი დააყაჩაღეს.

ბოლო ორი თვის განმავლობაში ჩოხატაურში ექვსი ყაჩაღობა მოხდა, აქედან ბოლო შემთხვევას 4 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე სოფ. გოგოლესუბანში ჰქონდა ადგილი. გურამ სიხარულიძის ოჯახში ყაჩაღების „სტუმრობისას“ მხოლოდ 69 წლის დიასახლისი იყო სახლში. ბოროტმოქმედები ფულს ითხოვდნენ და სასურველის მისაღწევად, სასტიკად სცემეს ოჯახის დიასახლისს, რომელიც მრავლობითი დაზიანებებით, შემდგომ ჩოხატაურის საავადმყოფოში მოათავსეს.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა დანაშაული ერთი და იგივე ხელწერით მოხდა ბოროტმოქმედთა სამკაციანი ჯგუფის მიერ და გურიის სამხარეო პოლიცია ჩოხატაურში იყო მობილიზებული, გავრცელებული ინფორმაციით კი, მათ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ჯგუფიც დაემატა, საქმეები ჯერ-ჯერობით გაუხსნელია.

შაბათს დილით, ოზურგეთლები შეშფოთებას გამოხატავდნენ ყაჩაღობის მორიგი ფაქტის შესახებ.

9 დეკემბერს, ოთხკაციანმა შეიარაღებულმა ჯგუფმა სოფ. გომში შაქრო აბაშმაძის ოჯახი დააყაჩაღა.

–ძველ დროში გვიპირებენ დაბრუნებას თუ რა ხდება. რატომ გავხდით ასე დაუცველები?–ამბობდნენ მოქალაქეები.

სოფ. გომში შაქრო აბაშმაძის ოჯახში ახლობლები და მეზობლები იყვნენ შეკრებილნი. ოჯახის წევრები ოზურგეთის პოლიციაში იყვნენ დაკითხვაზე.

ახლობლები ამბობდნენ, რომ მათ მომხდარზე ზუსტი ინფორმაცია არ ჰქონდათ, მაგრამ იცოდნენ, რომ საღამოს 8 საათზე 4 ავტომატით შეიარაღებული პირი შევიდა შაქრო აბაშმაძის ოჯახში. ამ დროს სახლში იმყოფებოდნენ თავად შაქრო აბაშმაძე, ვაჟი გია და რძალი მაყვალა.

დაუზუსტებელი ინფორმაციით, გია აბაშმაძემ ერთ-ერთ მომხდურს ავტომატი წაართვა, მაგრამ მეორემ ავტომატის კონდახი ჩაარტყა. მომხდურებმა ოჯახის წევრებს მობილურები ჩამოართვეს და „მაგთი ფიქსის“ ტელეფონს ყურმილი გადუჭრეს.

ბოროტმოქმედებმა კონკრეტულად რა წაიღეს, ახლობლებს არ დაუკონკრეტებიათ. ისინი ოჯახიდან ია აბაშმაძის კუთვნილი „მერსედეს–190“-ით წავიდნენ. ეზოდან გასვლისას მათ მეზობლიდან მომავალი შაქრო აბაშმაძის შვილიშვილი, 22 წლის შაქრო შეხვდათ, რომელიც ასევე „გასკოჩეს.“.

პოლიციამ მომხდარის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე გაატარა გარკვეული ოპერატიული ღონისძიებები და წაყვანილი ავტომანქანა სოფ. დვაბზუს ტერიტორიაზე, შალვა რადიანის სახლ-მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე იპოვეს.

ჯერ-ჯერობით, აღნიშნული ყაჩაღობის საქმის გახსნის შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა. რედაქციამ პოლიციიდან ინფორმაციის მიღება ვერ შეძლო, „ალიონის“ სატელეფონო ზარს არ უპასუხა შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურმა. ბოლო ინფორმაციით, პოლიციამ რამდენიმე ეჭვმიტანილი დააკავა.

რაც შეეხება შაქრო აბაშმაძის ოჯახს, იგი კარგი ავტორიტეტით სარგებლობს სოფელში. არის უაღრესად შრომისმოყვარე და ოჯახის წევრებიდან მხოლოდ 54 წლის გია აბაშმაძე მუშაობს ბეჟუჭესზე. დანარჩენი მათი შემოსავალი ოჯახური მეურნეობაა. მეზობლები შეწუხებული იყვნენ მომხდარით და პოლიციისაგან სწრაფ რეაგირებას ელოდებიან.

IRI-ის კვლევების მიხედვით, სანდოობის რეიტინგში გაზეთი "კვირის პალიტრა" ლიდერობს

(ინტერპრესნიუსი, 08.12.2012) – საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის, IRI - ის კვლევების მიხედვით, სანდოობის რეიტინგში გაზეთი "კვირის პალიტრა" ლიდერობს.

კითხვაზე, ყველაზე მეტად რომელი ქართული გაზეთის ახალ ამბებსა და პოლიტიკურ ინფორმაციას ენდობით, პასუხები ასე გადანაწილდა: პირველად არჩევანში **„კვირის პალიტრას"** 43 პროცენტი აქვს, მეორად არჩევანში - 50 პროცენტი.

„ასავალ-დასავალს", შესაბამისად, 12 და 17 პროცენტი; **„ალია"** - 4-7 პროცენტი; **„ქრონიკა"** - 3-5 პროცენტი; **„რეზონანსი"** - 2-4 პროცენტი; **„ახალი თაობა"** - 2-3 პროცენტი; **„გურია ნიუსი"** - 1-2 პროცენტი; **„საქართველოს რესპუბლიკა"** - 1-1 პროცენტი; **„აჭარა"** - 0-1 პროცენტი; **„პრაიმტაიმი"** - 0-1 პროცენტი; **„ალიონი"** - 0-1 პროცენტი; **„24 საათი"** - 0-1 პროცენტი; **„ბათუმელები"** - 0-1 პროცენტი; **„გურიის მოამბე"** - 0-1;

„ინტერპრესნიუსისთვის" საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) კვლევების შედეგები ქართულ პრესასთან დაკავშირებით დღეს გახდა ცნობილი.

ამავე კვლევების მიხედვით, რეგულარულად კითხვად ქართულ გაზეთებშიც გაზეთი "კვირის პალიტრა" ლიდერობს - 68 პროცენტით.

არსებული ინფორმაციით, გამოკითხვა 27 ოქტომბრიდან 11 ნოემბრამდე პერიოდში ჩატარდა. გამოიკითხა 4 ათასი რესპონდენტი 18 წელს ზემოთ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი დამტკიცდა

ნუგზარ ასათიანი

55 წუთიანი ლოდინის შემდეგ, პარასკევს საკრებულოს სხდომა დაიწყო. სხდომის დაგვიანების მიზეზი უშუქობა იყო. ზუსტად ეს დრო დასჭირდა „ენერგო პრო ჯორჯიას“ოზურგეთის მომსახურების ცენტრს პრობლემის მოსაგვარებლად.

სხდომას დეპუტატთა უმრავლესობა დაესწრო. ოპოზიციიდან სრულად ესწრებოდნენ ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატები. არ ესწრებოდა ლელა ნაცვალაძე, ხოლო „თავისუფალი დემოკრატებიდან“ დეპუტატ თემურ სალუქვაძეს კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია.სხდომას არასამთავრობო ორგანიზაციები არ დასწრებიან.

საკრებულოს სხდომამ სამი საკითხი განიხილა: აქედან პირველი ორი საკითხი 2011 წლის ბიუჯეტში ცვლილებებს და დამატებებს მიეძღვნა.

როგორც გამგეობის საფინანსო განყოფილების უფროსმა ლია ქათამიძემ განაცხადა, 2011 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი შესრულებულია და წლის ბოლომდე ბიუჯეტში დამატებით მობილიზებული იქნება 328 300 ლარი.

გვ-2

ლანჩხუთში პოლიციის ახალი შენობა გაიხსნა

ლანჩხუთში შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა ბავშვებთან ერთად, გამჭვირვალე და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი შენობა გახსნა.

პოლიციის შენობის გახსნის ცერემონიას გურიის სამხარეო რწმუნებული ვალერი ჩიტაიშვილი, ლანჩხუთის მაჟორიტარი დეპუტატი გია გოგუაძე და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შენობის გახსნამდე შს მინისტრი, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე, და საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი გოკა გაბაშვილი მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების უფროსკლასელებს შეხვდნენ.

rustavi2.com

პროკურატურა შეჭირვებულ ოჯახს ციტრუსის დაბინავებაში დაეხმარა

პროექტის „საზოგადოებრივი პროკურატურის“ ფარგლებში ოზურგეთის პროკურატურა სოფ. ნატანებში, დონაურში შვილიძეების ოჯახს ციტრუსების კრეფაში დაეხმარა.

გვ-2

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი დამტკიცდა

მიღებული შემოსავლებიდან დაფინანსდება:

უკიდურესად შეჭირვებულ მოქალაქეთა საახალწლო ნობათი– 10000 ლარი; მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებები–12100 ლარი; სპორტსკოლა–500 ლარი; კომუნალური მომსახურების ცენტრი–7300 ლარი; მუზეუმი–2700 ლარი; თეატრი–7100 ლარი; საბავშვო თეატრი–3400 ლარი; არქივი–3000 ლარი; მარულა–7000 ლარი; საფეხბურთო კლუბი „მერცხალი“–17000 ლარი; სოფლის მეურნეობის ხელშეწყობისა და დასაქმების ცენტრი–3500 ლარი; მუნიციპალური ტრანსპორტი– 2700 ლარი; მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი–3200 ლარი; საჩოგბურთო სკოლა–1200 ლარი; ბიბლიოთეკა–1900 ლარი; მაშველები–3300 ლარი; კულტურის ცენტრი–19600 ლარი; კულტურის და დასვენების პარკი–2700 ლარი; კეთილმოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარების ცენტრი–3400 ლარი: სამხედრო სამსახური–2800 ლარი; დასუფთავება–76500 ლარი; სახანძრო–1000 ლარი; ბაღები–80000 ლარი; გამგეობა–17500 ლარი (მ.შ. პრემია 15500 ლარი); განათლების ხელშეწყობა–7000 ლარი; გომისმთა–400 ლარი;სოც. კულტურული ღონისძიებები–2135 ლარი; საკრებულო–20400ლარი; სპორტის განვითარების ანალიტიკური და მეთოდური დახმარების ცენტრი–1500 ლარი; რაგბის კავშირი–325 ლარი: სპორტის ცენტრი–320 ლარი; ურეკის კულტურის სახლი–320 ლარი;

საკრებულოს თავმჯდომარე ალეკო მამეშვილმა განმარტა, რომ დასუფთავების სამსახურზე გასაცემი 76500 ლარიდან 47 ათასი ლარი საწვავზე ფასთა სხვაობაა, რადგან დიზელის საწვავი 2011 წლის დასაწყისიდან 1 ლიტრის ღირებულება 1 ლარი და 92 თეთრიდან 2 ლარსა 20 თეთრამდე გაიზარდა.

ასკანის მაჟორიტარმა დეპუტატმა ლევან ნინიძემ საკრებულოს თავმჯდომარეს სოფლებზე მუნიციპალიტეტიდან შეპირებული 500 ლარით დახმარების შესახებ შეახსენა, რაზედაც მიიღო პასუხი, რომ ქალაქიდან სოფლებში ლამპიონები გადანაწილდება.

ალეკო მამეშვილის თქმით, ერთ-ერთმა დეპუტატმა (იგულისხმა ლელა ნაცვალაძე) განაცხადა, რომ არ იცნობდა ბიუჯეტის პროექტს, რითაც მან თავისი თავი წარმოაჩინა.

რაც შეეხება 2012 წლის ბიუჯეტის პროექტს იგი ვიზუალურად კარგად წარმოადგინეს და მუნიციპალიტეტის გამგებელმა ილია ვაშაყმაძეს მის დეტალურად წარმოსადგენად 2 საათი დასჭირდა.

2012 წელს ბიუჯეტის შემოსავლები 9692.4 ათას ლარს შეადგენს, მათ შორის გადასახადები 2380.0 ათას ლარს.გრანტები–7312.4 ლარს; გადასახადები (ხარჯები)–9692.4 ათას ლარს.

ბიუჯეტის განხილვამ წყნარად ჩაიარა. როგორც ბიუჯეტი აჩვენებს, საარჩევნოდ საბიუჯეტო ორგანიზაციებში კვლავ ახალი შტატები გაჩნდება. – იყო ასეთი რეპლიკაც.

ბიუჯეტის განხილვაზე

ნინო ნიკოლაიშვილი

დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში ბიუჯეტის განხილვა მოეწყო. განხილვას ჟურნალისტი თეა იოსელიანი უძღვებოდა. საფინანსო სამსახურის უფროსმა ლია ქათამიძემ მოკლედ ჩამოთვალა ის ციფრობრივი მაჩვენებელი, რომელიც მომავალი წლისთვის სხვადასხვა სფეროში დასახარჯადაა გათვალისწინებული. მუნიციპალიტეტის გამგებლის ილია ვაშაყმაძის თქმით, პრიორიტეტები მოსახლეობასთან შეხვედრების შემდეგ გამოიკვეთა. საკრებულოს თავმჯდომარე ალეკო მამეშვილმა საზოგადოებრივი დარბაზის მუშაობის შედეგებზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ აქ გამოთქმული შენიშვნები და მოსაზრებები გათვალისწინებული იქნა აღნიშნულ ბიუჯეტში.

„ქრისტიან დემოკრატიული“ პარტიის ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე კახა ღლონტმა ვეტერანთა სოციალურ პაკეტში ცვლილებების შეტანის საჭიროებაზე, ხელისუფლების მხრიდან, ტუბერკულიოზით დაავადებულთა გადასაყვანი ხარჯების ანაზღაურებაზე ისაუბრა.

დეპუტატ ლელა ნაცვალაძის გამოსვლა საბიუჯეტო ორგანიზაციებში გაბერილ შტატებს შეეხო და აღნიშნა, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციები გადაჭედილია შტატებით, რომელთა არსებობა არანაირ საჭიროებას არ წარმოადგენს და ბევრი მათგანი მხოლოდ ჩინოსანთა ცოლების დასასაქმებლად შეიქმნა. ნაცვალაძე აიპიების მუშაობასაც შეეხო და აღნიშნა, – დღეისთვის მუშაობს მხოლოდ სკოლამდელი დაწესებულების ცენტრი, დანარჩენი კი საკრებულოს ყოფილი წევრების დასასაქმებლად შეიქმნა.

ირაკლი პაპავას თქმით, (სდგკ) მართალია ვადები დაცული იქნა, მაგრამ საკრებულოდან შესწორებული ვარიანტის გადაგზავნის შემდეგაც უნდა დაწყებულიყო ბიუჯეტის საჯარო ადმინისტრაციული წარმოება. მანვე მოითხოვა დაზუსტება ამხანაგობების არსებობის საჭიროებისა. „საიას“ წარმომადგენელი ქეთი თოიძე ადგილობრივი ბიუჯეტიდან პოლიციის დაფინანსების საკითხს შეეხო, რაზედაც გამგებლის პასუხმაც არ დააყოვნა – პოლიციისთვის გამოყოფილი ფინანსები კანონიერია. პოლიცია იმ დონეზე მუშაობს, ახლა მანქანების დაკეტვა საჭირო აღარ არის. გამგებელს საქონლის გახშირებული ქურდობის ფაქტები შეახსენეს.

„თავისუფალი დემოკრატებიდან“ გელა ბურჯანაძემ აღნიშნა, ხშირად ერთმანეთშია არეული სოფლის განვითარებისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამები. მანვე დასვა კითხვა, იგეგმება, თუ არა მომავალ ბიუჯეტში სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის თანხის ავანსად გაცემა, რასაც შემდეგ გადაიხდის ფერმერი, და არის თუ არა ასევე გათვალისწინებული ამერიკულ პეპელასთან ბრძოლის თანხები.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა მედიისთვის გამოყოფილ თანხებზეც ისაუბრა. „ალიონის“ შეკითხვას, დაგეგმილი, თუ არა ცვლილება მედიისთვის გამოყოფილი თანხის გადანაწილებაში, უპასუხა, რომ თანხა მედიაში შესყიდული ადგილის მიხედვით გადაირიცხა, რისთვისაც ჩატარდა ტენდერი (?!)

პროკურატურა შეჭირვებულ ოჯახს ციტრუსის დაბინავებაში დაეხმარა



უშუალოდ პროკურორმა კახა კოჩივარმა ზემო ნატანების საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად 78 წლის რემენ შველიძის ციტრუსების ბაღში 600 კილოგრამი ციტრუსი მოკრიფეს.

პროკურორმა თავად მისცა მაგალითი მოსწავლეებს. მოსწავლეებთან კი XI კლასელები გიორგი და ერეკლე კვაჭანტირაძეები, IX კლასელი ტარიელ პატარაია გამოირჩეოდნენ.

აქციის დასრულების შემდეგ კახა კოჩივარმა ჟურნალისტებთან განაცხადა: –სოფ. ნატანებში შევარჩიეთ შველიძეების ოჯახი, რომელსაც მოსავლის დაბინავებაში დახმარება სჭირდებოდა. პროკურატურას სხვადასხვა პროექტი აქვს, ამჟამად ასეთი სახის პროექტებს ვახორციელებთ. გვაქვს სხვა სახის პროექტები, რომლებსაც გაწერილი გეგმის მიხედვით განვახორციელებთ. მოსავლის აღებაში მონაწილე ზემო ნატანების საჯარო სკოლის მოსწავლეებს

თემურ სალუქვაძე ხელისუფლებას წვერმაღალას მოსახლეობის პრობლემების მოგვარებისკენ მოუწოდებს

– ბ-ნ ირაკლი ალასანიასთან ერთად, ჩვენ გვქონდა შეხვედრა წვერმაღალას მოსახლეობასთან. ეს ადამიანები არიან სრულიად მიტოვებულნი, გაურკვეველ მდგომარეობაში. ერთ დროს მდიდარი მეციტრუსეობის მეურნეობა, სადაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი იყო დასაქმებული და უზრუნველყოფილი, დღეს უმუშევარი და შემოსავლების გარეშეა დარჩენილი. გაუგებარია ხელისუფლების პოლიტიკა ციტრუსის კულტურის ქვეშ არსებული მიწის ნაკვეთებთან მიმართებაში. ერთადერთი, რაც ხელისუფლებამ, ისიც არჩევნების წინ, ნაწილობრივ მოაგვარა, განათების საკითხია.– ეს განცხადება გურიის თავისუფალი დემოკრატების ლიდერმა თემურ სალუქვაძემ გასული კვირის ოთხშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა და ხელისუფლებას ამ დასახლებისადმი მეტი ყურადღებისკენ მოითხოვა.

– ჩვენ, „თავისუფალი დემოკრატები" მივმართავთ ხელისუფლებას და მოვითხოვთ ყურადღება მიაქციონ წვერმაღალას მოსახლეობას, გადაუწყვიტონ ის ელემენტარული პრობლემები, რაც ჩვენი შეხვედრის დროს გამოიკვეთა.

1. ბინების სახურავი არის სასწრაფოდ შესაკეთებელი. განსაკუთრებით ზამთრის პირობებში იქ გაუსაძლისი მდგომარეობაა. მოვუწოდებთ ხელისუფლებას, რომ გამოიჩინოს ადამიანურობა და სასწრაფოდ შეუკეთონ მოსახლეობას სახურავი.

2. წყლის საკითხი, რომელიც არ არის დიდ ხარჯებთან დაკავშირებული. ჩვენი ინფორმაციით იქ ერთი ჭაბურღილია გასაკეთებელი და უკვე არსებულ ავზთან მისაყვანი.

3. მოსახლეობა ითხოვს არაპრივატიზებული მიწის ფართობების საკუთრებაში გადაცემას. გვესმის, ეს საკითხი არის ძალიან მნიშვნელოვანი. გაუაზრებლად ამის გაკეთება დაუშვებელია. წინადადებით შევდივართ: დავიწყოთ კონსულტაციები ამ მიწის პრივატიზაციასთან დაკავშირებით, რათა წვერმაღალას მოსახლეობას გაუჩნდეს ელემენტარული შემოსავლის წყარო.

გამომსვლელმა თემის საკრებულოს დეპუტატს ჯაბა მიქაბერიძესაც შეახსენა თავისი მოვალეობა.

– საკუთარი ამომრჩევლების ინტერესების დაცვა, ეს მისი ვალდებულებაა. მოვითხოვთ, სასწრაფოდ ჩაერთოს ამ პროცესებში და აქტიური მონაწილეობა მიიღოს აღნიშნული პრობლემების გადაჭრაში.

„აქ ერთხელ მაინც თუ მოხვალ კიდევ მოსვლის სურვილი აუცილებლად გაგიჩნდება"

მარი კოძოევი

ოზურგეთის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სარეაბილიტაციო ცენტრმა კვარტეტ „გამას" უმასპინძლა.

ასოციაციის ბენეფიციარებმა და პროფესიონალმა მომღერლებმა ერთობლივი კონცერტი მოაწყვეს. ქართული და უცხოური სიმღერები ერთმანეთს ენაცვლებოდა. თითოეულის შემდეგ მაყურებელი აპლოდისმენტებს არ იშურებდა.

სიმღერა შეასრულა „გამას“ ერთ-ერთი წევრის, მაცაცო ვაშაყმაძის აღზრდილმა, ლევან კვინტრაძემ, რომელიც ამჟამად ბათუმის რუსთაველის სახელობის თეატრში მღერის.

როგორც კვარტეტის წევრებმა გვითხრეს, ეს კონცერტი მათი პირველი შეხება არ იყო ასოციაციის ბენეფიციარებთან. „აქ პირველად არ ვართ. შარშან კონცერტზე ბავშვებთან ერთად ორი სიმღერა შევასრულეთ. მას შემდეგ ყოველთვის გვიხარია მოსვლა. საოცრად თბილად გვხვდებიან. აქ ერთხელ მაინც თუ მოხვალ, კიდევ მოსვლის სურვილი აუცილებლად გაგიჩნდება "-ამბობენ ისინი.

კვარტეტ „გამას" წევრები არიან მაცაცო ვაშაყმაძე, ელენე ვაშაყმაძე, ნათია ონიანი და ხათუნა მჟავანაძე. კვარტეტმა ამჟამინდელი სახე ერთი წლის წინ მიიღო. მის შექმნას 1999 წელს ჩაეყარა საფუძველი, როცა ბიძაშვილებმა, მაცაცო და ელენე ვაშაყმაძეებმა ერთად სიმღერა გადაწყვიტეს. 2003 წელს მათ მესამე წევრიც შეემატა. 2010 წელს კი კვარტეტმა დღევანდელი სახე მიიღო. მათ რეპერტუარში შედის გალობა, ხალხური და საესტრადო სიმღერები, მათ შორის უცხ-

„ახალი მემარჯვენეები“ ოზურგეთში კვლავ დაფუძნდნენ

გასული კვირის ხუთშაბათს ოზურგეთში „ახალი მემარჯვენეების“ რაიონული ორგანიზაცია კვლავ დაფუძნდა. რაიონული ორგანიზაციას ავთანდილ სურგულაძე უხელმძღვანელებს.

საქართველოს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში პარტიის აქტივს შეხვდა „ახალი მემარჯვენეების“ დასავლეთ საქართველოს კურატორი მანანა ნაჭყებია. მოგვიანებით ოზურგეთში ჩამოვიდა „ახალი მემარჯვენეების“ თავმჯდომარე დავით გამყრელიძე.აირჩიეს რაიონული ორგანიზაციის ბიურო.

მანანა ნაჭყებიამ ჟურნალისტებთან პარტიის სტრატეგიასა და საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე ისაუბრა.

ჩვენი მომავალი

„ალიონი“ იწყებს ახალ რუბრიკას, „ჩვენი მომავალი“, სადაც წარმოჩენილი იქნებიან წარმატებული, ნიჭიერი ახალგაზრდები ხელოვნების, სპორტის, ცხოვრების სხვადასხვა სფეროდან.

მომავალ პროფესიად დიზაინერობა აირჩია

ნინო ნიკოლაიშვილი

ნომრის სტუმარი ოზურგეთის სამხატვრო სკოლის ნიჭიერი ახალგაზრდა, თხინვალის საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე ქეთი ბაჯელიძე გახლავთ (ხატვის მასწავლებელი ავთანდილ თავართქილაძე). აქვს სიგელები და დიპლომები კარგი ნამუშევრების წარდგენისათვის. წელს სპეციალური სიგელი აიღო საუკეთესო დეკორაციული კომპოზიციისთვის.

— როგორი ბავშვი ხარ ქეთი?

— რომანტიული და ცოტა სევდიანი;

— რატომ ხარ სევდიანი?

— მშობლები მენატრება, მათთან ერთად მინდა ყოფნა;

— სად არიან მშობლები?

— გერმანიაში;

— შენ იცხოვრებდი უცხოეთში?

— გარკვეული წილად ალბათ კი, ასეც ვაპირებ, თუმცა მუდმივად უცხოეთში ცხოვრებას ვერ შევძლებ;

— რომ შეეჩვიო და სამშობლოში დაბრუნება აღარ მოგინდეს;

— არა მგონია, თუმცა, წინასწარ რაიმეს მტკიცებაც არ შეიძლება;

— მხატვრობას გაჰყვები ბოლომდე?

— აუცილებლად, მინდა დიზაინერ-მოდელიორი გავხდე.

კარგი რესპონდენტი აღმოჩნდა ჩვენი სტუმარი. ქეთის ხატვა 9-10 წლიდან დაუწყია. მასში

ხელოვნების ამ დარგისადმი მიდრეკილება და სიყვარული გენეტიკურად მოდის. მისი ბიძა რამაზ ბაჯელიძე მხატვარ-მოქანდაკეა. ხატავს ქეთის უმცროსი დაც. გოგონა კარგად ცეკვავდა, ანსამბლ „ზენაარში“(ხელ-ლები მელის ნადირიძე, ირმა სვანაძე), ბევრი დიპლომი და სიგელი აქვს მიღებული, არის ფესტივალის ლაურეატი, მაგრამ ცეკვისთვის თავი დაუნებებია და მთელს შესაძლებლობებს მხატვრობას უთმობს. მის შემოქმედებაში დიდი ადგილი ეთმობა ბუნების პეიზაჟს, ტანსაცმლის დიზაინს. ამბობს, რომ მშობლიური სოფლის ლამაზი ხედები ხშირად გამხდარა მისი შემოქმედების შთაგონების წყარო.

ოჯახში უმცროს და-ძმასთან, ბებოსთან, ბაბუსთან, დიდ ბებოსთან და ბაბუსთან ერთად ცხოვრობს. კითხვაზე, იწვევს თუ არა აზრთა სხვადასხვაობას რამდენიმე თაობის ერთად ცხოვრება, ქეთიმ გვიპასუხა — ჩვენ ერთად ძალიან კარგად ვგრძნობთ თავს. მხოლოდ მშობლები გვენატრება. ქეთი ადრეულ ასაკში ლექსებსაც წერდა თურმე, მაგრამ ახლა თავი დაუნებებია. — ადრე თავისით მოდიოდა აზრები, ახლა აღარ. ლექსი მოუძრვნია გარდაცვლილი ბაბუასთვის.

უყვარს მეგობრები, მათთან ერთად ყოფნა. რამდენიმეს ერთი ჰქონია სევდის მიზეზი. მათაც უცხოეთში ჰყოლიათ მშობლები.

სწავლის გაგრძელებას ქეთი თავდაპირველად სამშობლოში აპირებს, შემდეგ უცხოეთშიც სურს მოსინჯოს ძალები. მისი საყვარელი დიზაინერებია ავთანდილ ცქვიტინიძე და თათა ვარდანაშვილი. ფიქრობს, რომ ამ სფეროში აუცილებლად მიაღწევს წარმატებას და ამისთვის ბევრს შრომობს კიდეც.

უყვარს კითხვა. განსაკუთრებით სათავგადასავლო და მაწანწალების ცხოვრების ამსახველი ნაწარმოებები. მათ რთული, მაგრამ საინტერესო ცხოვრება აქვთო — ამბობს.

ქეთი ნიჭიერი და შრომისმოყვარე, მიზანდასახული გოგონაა, ასე ახასიათებენ მისი მასწავლებელი და სამხატვრო სკოლის დირექტორი კახა ვასაძე.

წარმატებულ პრემიერაზე

ნინო ნიკოლაიშვილი

სპექტაკლის რეჟისორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვასილ ჩიგოგიძე; სცენარის ავტორი — კ. ნინიკაშვილი, ვ. ჩიგოგიძე; მხატვარი — ლომგულ მურუსიძე; მუსიკალური გამფორმებელი — ეკა კუსიანი; ლოტბარი ამირან გოლიაძე; ქორეოგრაფი — მარიკა ქვეითაია; რეჟისორის ასისტენტი მაკა მამულაიშვილი.

სპექტაკლი „გამარჯობათ ხალხო“, რომლის პრემიერაც ოზურგეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა, კიდევ ერთხელ გახდა დასტური იმისა, რომ საზოგადოებათა თავისებურებებში არსებულ მთელ რიგ ღირებულებას არასოდეს უხუნდება ფერი, არასოდეს კარგავს მნიშვნელობას და მოფერებაგაფრთხილებაც სჭირდება დღემუდამ.

ნოდარ დუმბაძის პერსონაჟები: ზურიკელა, ბებია, ილიკო ილარიონი, მერი ... რამდენიმე ათეული წლის წინ ცხოვრობდნენ და სწორედ იმ ურთიერთობებით, რომლებიც ასე ლამაზად კვებავდნენ და კვებავენ ადამიანთა სულის ნაწილს, იმ, ამ, და შემდეგ დროთა კუთვნილებად იქცნენ. დროთა სწრაფ მდინარებას მიაქვს რაღაც არსებული და მოაქვს ახალი— ბევრი კარგი და ბევრიც ცუდი. თუმცა ადამიანთა ფსიქოლოგია ნაკლებად იცვლება, გამოხატვის ფორმებია ცვლადი მხოლოდ. ამიტომაც არ აქვს მნიშვნელობა, „ვის რამდენი ბანალი და ბურდღა აქვს თავზე“; კეციდან არეკილი მჭადითა და ლობიოთი იკვებება, თუ შავი პურის ქერქზე გადასმული ნივრით, არც იმას, სოფლის ორღობეებს მიუყვება, თუ ქალაქის ხმაურიან ქუჩებზე დადის. მთავარი აქ ოჯახის სრულფასოვნების ფენომენია. დედა-შვილობამდე ასული ბებია-შვილიშვილობის, მეზობლობისა და მეგობრობის ფასი და სიყვარულის ნათელი გრძნობაა. არ არის ადვილი ამ გარემოში ყოფნა-ტრიალი, რადგან მკაცრი ნაბიჯებით მოაბიჯებს ცხოვრება, რომელიც თითოეული ოჯახის კერიაზე გაივლის. ასევე მკაცრი ნაბიჯებით მოჰყვება მას იმ პერიოდის საბჭოთა სინამდვილე. ყველგან იცქირება ცნობისმოყვარეობით და გარკვეულწილად განაგებს კიდეც მას. თუმცა ზედმეტი გართულება ამ ყველაფრისა, გაცილებით მეტად დაამკვიდრებდა ირგვლივ რუხ ფერებს, ამიტომ მიუსადაგა მწერალმა ყოველივეს მზის სხივმორეული იუმორი, და სამზეოზე გადმოიტანა გურულთა ყოფა და გურულები. მერე, ეს დრო, და ეს საზოგადოება რეჟისორმა კვლავ გააცოცხლა და ამ პერსონაჟებთან ერთად შემოვიდა თეატრის სცენაზე და თავად სპექტაკლის სათაურით, „გამარჯობათ ხალხო“ — ორი საზოგადოება დაუკავშირა ერთმანეთს. დასაწყისში — მწერალი თავად წარმოადგენს თავის წილ გარემოს და საცხოვრისს, საამდროისოდ. საინტერესო დეკორაციებით წარმოდგენილ სოფლის გარემოს ადამიანები აცოცხლებენ. ამათ შორის ირჩევს გიორგი დოლიძის პერსონაჟი მისთვის საყვარელ პიროვნებებს და, მათ შორის ცხოველებსაც. თუმცა დანარჩენებიც მისი ცხოვრების შემადგენელი ნაწილნი არიან. ყველას თავისი დატვირთვა აქვს სცენაზე. წარმოდგენილ პერსონაჟთა როგორც მწერლისეული, ისე სასცენო მეტყველება თუ ქცევა-ხასიათები, თითქმის ზეპირად იცის მაყურებელთა დიდმა ნაწილმა. რაც დიდი გამოწვევა იყო. ოზურგეთის თეატრის მსახიობებმა მიიღეს ეს. და თავიანთი შტრიხებიც შეიტანეს უკვე მყარად ჩამოყალიბებულ სახეებში. ასე შეიქნა ახალი ზურიკელა, ოლღა ბებია...

თუმცა ძალიან არ დასცილებიან თავიანთ წინაპრებს, რადგან, არ დაეკარგათ ბევრი რამ, თავისთავადი. ეს ერთობლიობა გახდა თემა იმ სცენარისა, რომლის მიხედვითაც დაიდგა სპექტაკლი. მნიშვნელოვანი პლასტიკური სახეებით წარმოადგინეს მსახიობებმა მურადა, ფაქიზო და ბეკეკა. (ვალერიან კანთელაძე, თამარ მდინარაძე, შორენა გვეტაძე) მაყურებლისთვის სიურპრიზი აღმოჩნდა ამირან ქადეიშვილისა და გაბრიელ მდინარაძის ჩანაცვლება ილიკოსა და ილარიონის როლში. (ზაზა ჯინჭარაძე, ნუგზარ ბარამიძე) დებიუტი იყო შემოქმედის საჯარო სკოლის მოსწავლის ქრისტინე ბარამიძის მერი. გოგონა თურმე თავიდანვე ოცნებობდა ამ როლის შესრულებაზე და სასკოლო სპექტაკლებში კიდეც უთამაშია მერის როლი. ჯერ-ჯერობით არ გადაუწყვეტია ხელოვნების ამ სფეროს აირჩევს თუ არა მომავალ პროფესიად. მაგრამ ამ როლის შესრულებას და ოზურგეთის მსახიობების გვერდით დგომას ის დიდი ბედნიერებად მიიჩნევს. თავისებურ ელფერს მატებს სპექტაკლს ორიგინალური სცენოგრაფია, დეკორაციები. ზემოდან დაჰყურებს წყვილი შეყვარებული თვალი „იისფერ თოვლის ხიდიდან ფენას“. მთლიან მიმდინარეობას საუკეთესო ფონს უქმნის ხალხური სიმღერები.

დასასრულიც ორიგინალურად წარმოადგინა შემოქმედებითმა კოლექტივმა. წლებიდან გადმოანაცვლეს არა მხოლოდ თავისებურებათა ფორმულა, არამედ თავად გააცოცხლეს ის. ბელა კიკვაძის ოლღა ბებია კვლავ ელოდება სასწავლებლად წასულ შვილიშვილს. მერე ერთად იკრიბებიან სიცოცხლის ხესთან, და სიცოცხლის მარადიულობას ესალმებიან, „გამარჯობათ ხალხო“.

ვასილ ჩიგოგიძე, რეჟისორი: მინდა მადლობა გადავუხადო ოზურგეთის თეატრს, ამ მართლაც გმირებს, რომლებმაც მცირე დროში, ცივ დარბაზში შეძლეს შემოქმედებითად წარმოედგინათ სპექტაკლი.

დიდი მადლობა თეატრის მმართველს ზაზა ჯინჭარაძეს, რომლის თხოვნით, 1995 წლის შემდეგ კვლავ დავდექი ამ სცენაზე. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ გაბრიელ მდინარაძეს და ბატონ ამირან ქადეიშვილს. ბატონი ამირანი 22 წლის შემდეგ დაუბრუნდა მშობლიურ თეატრს და საერთოდ სცენას. მადლიერი ვარ იმ ადამიანებისა, რომლებიც ლიტვაში, მივპინისის სახელმწიფო თეატრში გვგულშემატკივრობდა. 25 გურული, ალეკო მამეშვილის ხელმძღვანელობით და მთლიანად 100 ქართველი დაესწრო დუმბაძის ლიტვურ დადგმას. მინდა მადლობა გადავუხადო ქალბატონ მარიანა სლენიენეს სიურპრიზისათვის; რუსთავის სახელმწიფო თეატრს თანადგომისათვის;

უღრმესი მადლობა მინდა გადაგიხადოთ ჩემო ერთგულო მაყურებელო.

1987 წელს დავდგით ამ სპექტაკლის სხვა ვარიანტი. ახლა სულ სხვა დადგმა გამოგვივიდა. 150 წელია ოზურგეთის თეატრი ჭიდილში და ბრძოლაში აგრძელებს არსებობას. მათ არც ყინვაში, არც თოვლში შეუწყვეტიათ მუშაობა.

ამირან ქადეიშვილი, მსახიობი: მე დავიბადე ამ სცენაზე. დღეს იყო ჩემი მეორედ დაბადება. მესიზმრებოდა, რომ ვიყავი სცენაზე. მე მიყვარს ჩემი თეატრი, მე მიყვარს ჩემი ოზურგეთი, ვენაცვალე ოზურგეთლებს. მინდა ბედნიერება და წარმატებები ვუსურვო მათ.

გუბაზ მეგრელიძე, თეატრმცოდნე: დღევანელი დღე იყო მნიშვნელოვანი. ჯერ ერთი, რომ რეჟისორი ამდენი წლის შემდეგ დაუბრუნდა ოზურგეთის თეატრს და მეორე ის, რომ ნოდარ დუმბაძე მუდმივად უნდა იყოს ოზურგეთის თეატრში. ეს გარემოება დამტკიცდა დღევანდელ საღამოს, როცა მაყურებელმა ასე მიიღო სპექტაკლი. ფაქტიურად 25 წლის შემდეგ განახლდა იგი. ეს არის არატრადიციულ სტილში გაკეთებული სპექტაკლი. აქ კონცერტიც

არის, იუმორი არის, გურული კოლორიტია წარმოდგენილი, რამაც წარმატება მოუტანა მას ლიტვაში ამ რამდენიმე წლის წინ, ბალტიის ფესტივალზე. გარდა ამისა, ორი შემადგენლობა ჰყავს მსახიობებს ამ სპექტაკლში. მხატვარს ძალზე გონებამხვილურად აქვს ჩაფიქრებული ხიდი გადებული თაობებს შორის,ასევე ლიტვა-საქართველოს შორის, რაც ამ სპექტაკლმა გადო ამ ორ ხალხს შორის. ამდენ სიმბოლოკას იღებს ეს სპექტაკლი, რომ არაფერი ვთქვათ მასახიობთა შესრულებაზე. სპექტაკლში თამაშობდნენ მსახიობები, რომლებმაც არა მარტო დუმბაძე გააცოცხლეს, საერთოთ მოაქვთ გურული იუმორი. მათ საოცარი იმპროვიზაციით წარმოგვიდგინეს თავიანთი გმირების სახეები.

„გამარჯობათ ხალხო“—ეს შემთხვევით არ ჰქვია ამ სპექტაკლს, რადგან ხალხია აქ მთავარი გმირი, ხალხშია გასული ნოდარ დუმბაძის გმირები. ხალხშია გასული ის გმირები, რომლებსაც დღეს ტაშს უკრავდა აღფრთოვანებული დღევანდელი მაყურებელი. ნამდვილად გამარჯვებული სპექტაკლია და თეატრის გამარჯვებად შეიძლება ჩაითვალოს.

ჯუმბერ ლეჭავა ოზურგეთს სტუმრობდა

ოზურგეთელი ბავშვები ცნობილი სპორტსმენისა და მოგზაურის, გინესის მრავალგზის რეკორდსმენის, ჯუმბერ ლეჭავას წიგნებს, ჟურნალებსა და ბროშურებს გაეცნობიან, სადაც მისი მოგზაურობების შესახებაა მოთხრობილი. ამის შესახებ, თავად ავტორმა, გასული კვირის ხუთშაბათს, ოზურგეთში სტუმრობისას გვაცნობა.

– „მე მივიღე რეკომენდაციები განათლების სამინისტროდან, რომ სკოლებში შევიტანო ჩემი წიგნები, ჟურნალები და ბროშურები. ბავშვებს გავაცნო ჩემი ნაამბობი იმ მოგზაურობების შესახებ, რაც მე მოვაწყვე წლების მანძილზე. თბილისის სკოლებში უკვე შევიტანე წიგნები"– გვითხრა ლეჭავამ.

როგორც ჯუმბერ ლეჭავა ამბობს,დედაქალაქის სკოლებში უკვე ეცნობიან მის ნაშუშევრებს. რაც შეეხება ოზურგეთს,ჩვენს ქალაქში მოგზაურის სტუმრობის მიზანი იყო შეხვედროდა ოზურგეთის რესურსცენტრის ხელმძღვანელს, ირინა ინარიძეს და შეთანხმებოდა სკოლებში წიგნების შეტანასა და ამასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე.

ლეჭავას თქმით წიგნები ოზურგეთის სკოლებში უახლოეს მომავალში შევა.

ოზურგეთელმა „არწივებმა“ ბათუმის „დელფინს“ სძლიეს



გიორგი კალანდაძე

ოზურგეთის „არწივებმა“ უკვე დაიწყეს 2012 წლის სეზონისათვის სამზადისი. მათ ამხანაგურ მატჩში ბათუმის „დელფინს“ უმასპინძლეს, რომლებიც I ლიგაში გადასასვლელად ემზადებიან.

როგორც კლუბის პრეზიდენტმა ზვიად უნგიაძემ გვითხრა, იგი 1992 წლიდან ბათუმის „დელფინში“ თამაშობდა და მრავალგზის იყვნენ საქართველოს პრიზიორი რაგბიში. აქ ახლა გუნდს ზვიადის თანაგუნდელები ხელმძღვანელობენ და მათ „არწივებთან“ამხანაგური შეხვედრები დაგეგმეს.

პირველ შეხვედრაში ზვანის სტადიონზე ბათუმლები ყოფილ „დათვების“მორაგბეებით იყვნენ დაკომპლექტებული. „არწივებიც“გადახალისებული გუნდით დაუპირისპირდნენ მეტოქეს, სადაც ჭარბობდნენ „ბ“ლიგის მოთამაშეები. განსაკუთრებით კარგად ითამაშა 16 წლის გიორგი კალანდაძემ,რომელმაც ორი ლელო დაუდო მოწინააღმდეგეს. ოთიკო მჟავიამ ორი ჯარიმა და ორი გარდასახვა შეასრულა. თავი გამოიჩინეს ასევე გოჩა კალანდაძემ, ლევან შათირიშვილმა, ზურაბ ბიბინიძემ, ლევან კოჩალიძემ, გიორგი ღლონტმა, გიორგი ტუღუშმა, ბექა გოლიაძემ, ზურა ჟორჟოლიანმა და სხვებმა. ოზურგეთლებმა 34:22 სძლიეს „დელფინს.“

„დელფინთან“მორიგი ამხანაგური მატჩი ზვანის სტადიონზე 15 დეკემბერს გაიმართება, ხოლო საპასუხო 25 დეკემბერს–ბათუმში.

ზვიად უნგიაძე მადლობას უხდის გუნდის გულშემატკივრებს, რომელთა თანადგომით, ბევრ პრობლემას აგვარებენ. მადლობის ადრესატები არიან შპს „ვასაძის პურის“ ხელმძღვანელი ბიძინა ვასაძე, ინდმეწარმე ვასილ ბეშიტაიშვილი, შპს „გურია ექსპრესის“(„გულისტანი“) ხელმძღვანელი სავაშ თურქსალი. ოზურგეთის „პირველი სავაჭრო სახლის“ ხელმძღვანელი ირაკლი სირაძე და „ოზურგეთილუდის“ ხელმძღვანელი ამიკო როყვა.

გახსენება

დათო ცეცხლაძე



ერთი წელი გასულა დათო... ჩვენთვის კი – ყველაფერი გუშინ მოხდა. ახლა უფრო გვენატრები და ჰაერივით გვჭირდები. არ ყოფილა მართალი, რომ ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო. დრო აყუჩებს ტკივილს, მაგრამ ვერ გვავიწყებს საყვარელ ადამიანს. მონატრებაზე საშინელი არაფერი ყოფილა. დღესაც გელოდება შენი მშობლები, შენ ხომ მათი საუკეთესო შვილი იყავი. ძალიან გვიჭირს შენზე წარსულში საუბარი. არც ჩვენ და არც შენ, შენი ავადმყოფობის შესახებ არაფერი არ იცოდი, არადა, თურმე როგორ გიჭირდა... ნეტავი ჩვენზე მეტად გტკიოდა, რასაც უშენობა ჰქვია?

არა, მაინც ვერ ვიჯერებთ, როგორ შეეგუე უჩვენობას? როგორ გვეამაყებოდა შენი სიცოცხლე, როგორც ძმის და მეგობრის. ბუნებით თავმდაბალი, თავაზიანი, მუდამ მართალი და ალალი იყავი. სიტყვაძუნწი, მაგრამ შენი იუმორი როგორ გიხდებოდა. როგორ მოგვენატრა შენი თამადობა, რამდენი წყვილის ბედნიერება დაგილოცავს.

რა ულმობელი ყოფილა წუთისოფელი... ადრე სიხარულით მივიჩქაროდით მაკვანეთში, ახლა აღარა, რადგან, ვიცით არ შეგვეგებება ჩვენი „ბუნჩულა“ ძამიკო. სახლში ისევ შენი სითბო და სურნელება ტრიალებს. თითქოს შენი მძიმე, ნელი ნაბიჯების ხმა ჩამესმის, კარები იღება... და შენთვის ჩვეული ღიმილით კითხულობ: „ეს თქვენ ხართ, „მარო“და „ჯაურა?“–ასე გვეძახდი მე და მანანას... ერთი წელია გვენატრება შენი სიკეთით სავსე თვალები.

მოურჩენელი ტკივილი დაგვიტოვე შენი ნაადრევი წასვლით. იქნებ ასი წელი იცოცხლოს კაცმა, მაგრამ ვერ შეძლოს ის, რაც 53 წლის განმავლობაში შენ შეძელი. ეს ჩვენი არც ნუგეშია და არც დიდება.

ცხოვრობდა ამ ქვეყნად ერთი კაცური კაცი, რომელიც აღარ ამშვენებს თავის ოჯახს, მეუღლეს, შვილებს, ნათესავებს, მეზობლებს, მეგობრებს და სოფელს.

ერთი წელია ვეღარ ვხედავთ დათო ცეცხლაძის მოკრძალებულ ღიმილს და სალამს.

...მაგრამ ის ყოველთვის ჩვენთან არის...სიცოცხლეც ხომ სიკვდილის გარეშე არ არსებობს.

ვიყვარხარ, გვენატრები უსაშველოდ.

აჭარის ღია პირველობაგე

ხელვაჩაურში ჩატარდა აჭარის ღია პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 1996-1997 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის, სადაც წარმატებით გამოვიდნენ ოზურგეთის სასპორტო სკოლის წარმომადგენლები. 32,42,47, 66 კგ. წონით კატეგორიებში ფინალში გავიდნენ შოთა სალარიძე, ზურაბ ირემაძე, კახა ირემაძე, მამუკა ესაძე, ვლადიმერ ქინქლაძე. ამათგან ოქროს მედალი კახა ირემაძემ მოიპოვა, დანარჩენებს ვერცხლის მედლები ერგოთ. 38,47,73 კგ. წონით კატეგორიებში III სპრიზო ადგილზე გავიდნენ ერეკლე ბაბილოძე, ნიკა ხეცურიანი, ედვარდ ღლონტი.

გუნდი მოამზადეს მწვრთნელებმა ძმებმა მაჭარაშვილებმა, გია ბაქანიძემ, თენგიზ ლაბაძემ, კახა აბაშიძემ.

იყიდება

დაბა ურეკში, საუკეთესო ადგილას, ავტოსადგურთან, ზღვასთან ახლოს, იყიდება 6-ოთახიანი ხის სახლი, (თავისი სამზარეულოთ, აბანოთ), საკარმიდამო ნაკვეთთან ერთად. ეზოში არის არტეზიული ჭა.

მსურველმა დაგვიკავშირდეს: (597)76 59 22 (იკითხეთ თენგო).

სოსო ქუთათელაძე



შარშან, 59 წლის ასაკში, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, ოზურგეთს კიდევ ერთი ღირსეული და ერთგული გულშემატკივარი კაცი დაეკლდა–სოსო ქუთათელაძე.

ვინც სოსო ქუთათელაძეს იცნობდა, იცოდა, როგორ პასუხისმგებლიანი პიროვნება იყო იგი. ლაითურელთა გულშემატკივარი, ამ დაბის სასიკეთო საქმეებზე გადაგებული.

თავად ლაითურელი, უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ მრავალ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობდა; იყო ლაითურის მეურნეობა-ტექნიკუმის III და V აგროგანყოფილების ხელმძღვანელი, დაბის ახალგაზრდების ლიდერი, ანასეულის ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელი.

სოსო ქუთათელაძე წლების მანძილზე მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში. იყო ოზურგეთის მილიციის განყოფილების უფროსი; შემდეგ კვლავ თანამდებობებზე მუშაობდა აბაშის, ჩოხატაურის მილიციის რაიონულ განყოფილებებში. შინაგან საქმეთა ორგანოებიდან თადარიგში კაპიტნის ჩინით გავიდა. შემდეგ იგი დაბა ლაითურში ხელმძღვანელობდა ადგილობრივ თვითმმართველობას. უნდა ითქვას, რომ იგი თავის ცოდნას და ავტორიტეტს ახმარდა დაბაში არსებულ პრობლემების მოგვარებას. მის სახელს უკავშირდება დაბაში სულთმოფენობის ტაძრის მშენებლობა, რომელიც ახლა დასრულების სტადიაშია.

ლამაზი ოჯახი ჰქონდა სოსოს. მეუღლე ლილი მელუა-კავშირგაბმულობის მუშაკი; შვილები რევაზ და ნათია ქუთათელაძეები, თავიანთი ლამაზი ოჯახებით. სოსოს სახელს ატარებს შვილიშვილი–პატარა სოსო ქუთათელაძე.

გულდასაწყვეტია, რომ ამქვეყნიდან ნაადრევად წავიდა კაცი, რომელსაც კიდევ ბევრი კეთილი საქმის გაკეთება შეეძლო.

ნოე (ჯამბული) სურგულაძე

ერთი თვე გავიდა იმ უბედური დღიდან, მოულოდნელად რომ ჩაკვდა შენი სილამაზე და ვაჟკაცობა.

სიცოცხლით სავსეს, შენ სიკვდილზე არ გიფიქრია. ან რად იფიქრებდი, ჯერ ხომ 55 წლისა იყავი და შრომაზე შეყვარებული, სასიკეთო საქმეებზე ოცნებობდი. ტრაგიკულმა შემთხვევამ გიმსხვერპლა და გამოგასალმა წუთისოფელს.

საუკუნოდ წახვედი ჩვენგან, დატოვე დამწუხრებული დედა–მერი, შვილებზე მზრუნველობით სავსე ქალი, მოსიყვარულე მეუღლე–ქეთინო, შვილები მაიკო და ნანა, შვილიშვილები ნინო და ლიზი, ასე ძალიან რომ იღვწოდი და ოცნებობდი მათ მომავალზე. ვჯერა, შენს ნაამაგარს ისინი სათუთად შეინახავენ და შენს სიყვარულს სიცოცხლის ბოლომდე გულით ატარებენ.

დაგვტოვე დები, სამწუხაროა, რომ ერთადერთი ძმა გვყავდი, შენით ვამაყობდით და ვხარობდით. ჩვენ ხომ ერთ ოჯახად ვითვლებოდით, ჭირისა და ლხინის მოზიარეს ერთი საწუხარი გვქონდა. ასეთ დროს შენ ყოველთვის ჩვენს გვერდით იყავი და გვიმსუბუქებდი მდგომარეობას.

იყავი ბუნებით, სახით და ტანით ლამაზი. გიყვარდა იუმორი, თესდი სიკეთეს. დახმარებას უწევდი შეჭირვებული ოჯახის შვილებს. სადაც კი გიმუშავია, ყველგან კეთილსინდისიერისა და სიწმინდის სახელით სარგებლობდი. შენი სამყარო სავსე იყო სიყვარულის გრძნობით და შეგეძლო მეგობრობა ნებისმიერი ასაკის ადამიანთან. იყავი დიდთან დიდი, პატარასთან–პატარა. გყავდა მეგობრები. ყველა ამ დიდებულ ადამიანურ თვისებებს ასხივოსნებდა შენი მომღიმარი სახე და ვაჟკაცური შემართება.

სიცოცხლე გრძელდება, მაგრამ-სევდიანი. გლოვობს სოფელი, გლოვობს ხალხი. გვენატრები ყველას. შენს პატარა შვილიშვილებს მოაკლდათ შენგან ჩვეული სითბო და სიყვარული. ყოველდღე გელოდებიან. ეზოში შემოსასვლელ კარებს კვლავ აღებენ და ამბობენ: „ბაბუა მოვა მანქანითო.“

ძალიან გვიჭირს ჯაბა უშენობა, მაგრამ რა გაეწყობა, უფალმა ასე ინება და ღმერთის რჩეულს განეკუთვნე. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, შენს სახელზე სანთელი ვანთოთ და ვილოცოთ. ვეამბორებით იმ სურათს, ქორწილში თამადას, ყანწით ხელში მიკროფონი გიჭირავს და სადღეგრძელოს ამბობ. ეს კი ოცოდე, შენი წილხვედრი ჩვენი გულის ნაწილები არასოდეს გათბება. ჩვენს ოჯახებში დაისადგურებს უსაზღვრო მწუხარების გრძნობა, შენი სიყვარულის და სიწმინდის სახსოვარი.

ღმერთმა აკურთხოს შენი სპეტაკი სული იმ მარადიულ სასუფეველში, სადაც უკვდავნი სუფევენ.

ჩვენ სულ გვემახსოვრები, ცოცხლად გიგულებთ, ყოველი სუფრის გაშლისას პირველად შენი ხსოვნის სასმისს ავიღებთ. შენი სახელი წარუშლელ კვალად დარჩება ჩვენს ოჯახებში.

დები: მაგული, თამილა სურგულაძეები; დისშვილები ოჯახებით.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზურნველყოფა გია გოგოლაძე